



KA020379846045522

თბილისი, 0105, სანაპიროს 4 ტელ: 2-43-69-99, ფაქსი: 2-43-69-99  
4 Sanapiro st. 0105, Tbilisi ,Georgia. Tel: (+ 995 32) 2-43-69-99, Fax: (+995 32) 2-43-69-99  
E-mail: info@gnta.ge, www.georgia.travel

N08/179

29 / მარტი / 2022 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს  
რეფორმების ასოციაციის“  
დირექტორს, ბატონ პაატა  
გაფრინდაშვილს  
ტელ: +995 322 30 90 25; 598 77 54 04  
მის: თბილისი, დავით  
აღმაშენებლის 189  
ელ. ფოსტა: info@factcheck.ge;  
teonaabsandze@gmail.com

ბატონო პაატა,

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განიხილა თქვენი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან განსახილველად გადმოგზავნილი 2022 წლის 14 მარტის № 13 (ადმინისტრაციაში შემოსვლის თარიღი: 17.03.2022, მიდა რეგისტრაციის ნომერი № 731) წერილი, რომელიც ენება უკრაინელი მოქალაქეების/ლტოლვილების საშაროთლებრივი ან/და სხვა ტიპის მხარდასაჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულების საფუძველზე უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უზრუნველყოფს 2022 წლის 1 თებერვლიდან ამავე წლის 23 თებერვლის ჩათვლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული უკრაინელი მოქალაქეებისათვის ან იმ პირთათვის, რომელთა ოჯახის წევრს (ამ განკარგულების მიზნებისათვის ოჯახის წევრებად ასევე განისაზღვრებიან: და, ძმა, მშობელი, ბებია, ბაბუა და სრულწლოვანი შვილი) წარმოადგენს უკრაინის მოქალაქე, განთავსებასთან ტრანსპორტირებასა და კვებასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში ტურიზმის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს 2022 წლის 24 თებერვლიდან ამავე წლის 1 მარტამდე ტურიზმის ადმინისტრაციის ცხელი ხაზის კოორდინაციით კერძო სექტორის მიერ უსასყიდლოდ დათმობილი სასტუმროებიდან მათში განთავსებული უკრაინის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების (ამ განკარგულების მიზნებისათვის ოჯახის წევრებად ასევე განისაზღვრებიან: და, ძმა, მშობელი, ბებია, ბაბუა და სრულწლოვანი შვილი) ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ 2022 წლის 1 მარტიდან დაკონტრაქტებულ სასტუმროებში გადაყვანის, განთავსებისა და კვების ხარჯების ანაზღაურებას.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული განკარგულების ფარგლებში პროექტის დაწყებიდან 2022 წლის 29 მარტამდე მომსახურება გაენია 522 ადამიანს.

პატივისცემით,

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად



თამარ ყორიაული